

F 85
1915

F



№ 7

22 თებერვალი. 1915 წ.

საქართველო
საზღვრო-საზღვრო
მიწათმოქმედების მოწყობის

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

სოფელ კვიციანი საზოგადო-ეკონომ.

ცალკე ნომერი 10 კაპ.


მიწის და სალიტერატურო შუამდგომ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე

ფელიწადი მართხე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

F 652



ს. ს. ს. ს. ს. ს.

საქართველოს საზღვრო-საზღვრო
მიწათმოქმედების მოწყობის

ჩვენი ეკლესიის უბედობა

მეცხრამეტე საუკუნემ ბინდით შეჰმოსა ძველი ივერიის ეკლესია, რომლის ვარსკვლავი მარად ქართველ ერის სასიკეთეს უძღოდა წინა! თვით დიდებულნი და აღმაღლებულნი განადიდებდა და აღამაღლებდა ერს! ხოლო მას შემდგომ, რაც დამოუკიდებლობა დაჰკარგა მისი გაბრწყინებული სახე დაიღვრინა. აღარ ისმის ლიტანიის ხმა... ანგელოსური აღტაცება... აღარაფითარი ნუგეში... აღარაფითარი იმედით... როცა ყოველად სამღვდელთა პიტირინი გვეწვია, თითქოს გავცოცხლდით, თითქოს რაღაცა განახლების მოლოდინში ვიყავით... 14-ტი იანვარი საისტორიო დღეთ მივიჩნიეთ: სიონის ტაძარში აუარებელ ქართველ ხალხს მოეყარა თავი, ეს პირველი ავანგარდი იყო მართლ-მორწმუნე ქართველობისა. ამ ანბავმა მიყრუებულ სოფლებამდისაც კი მიაღწია, სახლს სახე უბრწყინდებოდა მისი გული იმედებით ივსებოდა მაგრამ იმედთა აყვავილება შემოდგომის დღედ გვიცვლებოდა და ახალ-ახალს დღეს ახალ-ახალი უნუგეშობა მოჰქონდა უფრო მძიმე, უფრო კაეშნიანი.

აი, ამ დღეში ტელეგრაფმა კიდევ გვაცნობა დიდმნიშვნელოვანი ამბავი: საქართველოს ქორეფისკოპოსი პიმენი გადაიყვანეს შუაგულ რუსეთში. ჩვენც შევეფთხებოდით გვეგონა, ესლა მაინც ეღირსებოდა ჩვენს ბერ სვიმეონს — კირიონს სამშობლო ერის ნახვა. მაგრამ არა, იმედი გაცრუვდა! იმავე დღეშიდან გავიგეთ, რომ პიმენის მოადგილედ შიდა რუსეთიდან გადმოჰყავთ ქორეფისკოპოსი ლეონტი.

ეს ამბავი ფრიად საგულისხმეოა ჩვენი ერისათვის. მართალია, რუს არქიელების დანიშვნა ჩვენში ახალი ამბავი არ არის, არც ის არის არაჩვეულებრივი, რომ ქართველი მღვდელ მთავრები რუსეთში იგზავნიდნენ, მაგრამ იმ დროს როდესაც ქართველი ერი იმედოვნებს, რომ მის სამართლიან მისწრაფებას, ერთხელაც იქნება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენო, როცა საქართველოსსა ექზარხოს სათავეში ბრძანდება დიდათ სათნოსიანი, პატივცემული და ქართველთა სიყვარულის მომპოვებელი არქიეპისკოპოზი პიტირინი; რომელმაც ჩამოსვლისთანავე იმედის სხივი აღამაჰრა და ბეჯითი გარდაწყვეტილებით დაჰპირდა სამწყსოს, საქართველოს ეკლესიას მოეხსნი კაეშნის მანდილს, ფეხზე წამოვაყენებ, კვალად გაბრწყინდება საქართველოს გულის

სიონიო, დიახ, აი, სწორედ ამ დროს, ასეთი მოგონა, როგორცაა ბერ კირიონისა და დავითის რუსეთში დატოვება მეტად თავხარ-დასტევი და შემადრწუნებელი ამბავია ქართველებსთვის...
 ვიცით და კარგათაცაა, ვიცით რომ არა ქართველი ბ-ნი დურნოვო დიდი გულშემატკივრობით ექცევა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და მის დაქვეითებას დასტირის. რუსული პრესა სწორედ დროულად და სამართლიანად სთვლის ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. ამავე დროს ქართულ პრესაში უბრალო ქრონიკული შენიშვნების მეტი არა იწერებარა ჩვენს ეკლესიის მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ქართველი ერი გულგრილად და უყურადღებოდ ეპყრობოდეს სამშობლო ეკლესიის მდგომარეობას. სრულიადაც არა. ყოველი ქართველი, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, დიდი და პატარა, სწავლული თუ უსწავლელი, ყველ, როგორც ერთი ადამიანი, ისწრაფვის სამშობლო ერის სადიდებელ სიონის აღორძინებისაკენ.

დღეს ქართული ეკლესია ემზავსება ისეთს არსებას, რომელსაც არც სული და არც გული არ შერჩენია. რაც უნდა პატიოსანი, საყვარელი არ იყვეს არა ქართველი მღვდელ-მთავარი, მაინც ვერ მთაბერავს მასიციოცხლებელ ძალას ჩვენს ეკლესიას. იგი ბუნებრივად, ისტორიულად, აღზრდილ, შეხედულებებით, მიმართულებით ვერ იქნება გამომხატველი საქართველოს ეკლესიის ტრადიციებისა. და იდეალისა! ეკლესია, რომელსაც დიადი წარსული აქვს, არ აღმოიფხვრება მისი დავიწყება ქართველის გულს ძალუძს. მაგრამ აი, ქართულმა ეკლესიამ დაჰკარგა თავისი ისტორიული გზა, დაკნინდა... ბუნებრივად ამას მოჰყვა დაქვეითება თვით სამწყსოსი. მოისპო მიდრეკილება ეკლესიის პატივისცემისა. გაჰქრა მონასტრები, გაპარკახდა ეკლესიები, დაიხურა სასულიერო სასწავლებლები. დაკნინდა სამღვდელოება, განთქმული კულტურა, სახელოვანი საეკლესიო მწიგნობრობა... ვიდრე ჩვენს ეკლესიას ჰყავდა საკუთარი ხელმძღვანელი საეკლესიო საქმეში საზოგადოდ და სამღვდელოებაში კერძოდ. თავს იჩენდნენ მართლაც წარჩინებულნი და სულმნათი პიროვნებანი. ესენი იყვნენ სპეტაკნი გონებრივადაც და ხნობრივადაც. ამის დასამტაცებლად რამდენი მაგალითია, მაგრამ მოვიყვან უფრო თვალსაჩინოს, მაგრამ ფრიად მარტივს: ვიდრე სულმნათი ეპისკოპოზი გაბრიელი იყო იმერეთის კათედრა-

ზე და ასე თუ ისე დამოუკიდებულობას იჩენდა თავის შოქმედებაში, სამწყსოსა და ეკლესიის საქმეების წარმოებაში იმერეთის სამღვდელთა სხვა დონეზე იდგა. თითქმის მთელ იმერეთის ეპარქიაში აკადემიკლები და სემინარიელები მიდიოდნენ მოძღვრებად. მას აქეთ კი, რაც ჩავსვენა მისი მზიური სახე, იმხვე ეპარქიაში მოძღვრებად მიდიან სოფლის მწერლები, ან და სრულიად უსკოლო, ან კიდევ სამოქალაქო სასწავლებლიდან გამორეკილნი. რა თქმა უნდა, ასეთი სამღვდელთა პარტახ ეკლესიას ვერ გაჭყურჩენის, დაცემულ მწიგნობრობას ვერ ააღორძინებს.

განა გასაოცარი იქნება, თუ ამისთანა პირობებში ჩვენი ხალხი გულს აიკრუება ეკლესიაზე? ვიდრე ჩვენი ხალხი ისმენდა ქართულ წირვა დოცვას, ვიდრე ქართველი ხელმძღვანელი და თავი ეკლესიისა განაგებდა ივერიის ეკლესიას, ყოველთვის სასოების მომგვრელი და სათაყვანო ადგილი იყო მამა დავითი, სიონის ტაძარი, ანჩისხატი, ანუ ქვაშეეთის ეკლესია. ვინ წარმოიდგენს. რა აღტაცება, რა დიადი დღესასწაული იდგა ხოლმე, როდესაც გაბრწყინებულ სიონში ჩვენი ქათალიკოსი ასრულებდა მღვდელ-მოქმედებას! დღეს კი... დღეს... ქართველ მლოცველს არა თუ არ მიუხარიათ სიონში შესვლა, იმის მგლოვიარე სახის დანახვაც კი ტანჯვას ჰგვრის! ამიტომაცაა, რომ რამდენადაც შეტად უყვართ იგი იმდენად უფრო იტანჯებიან... გაურბიან კიდევ... შეიძლება ეს დიდი შეცდომაც იყოს, მაგრამ ფაქტი აქეთა და მას ვერ დავფარავთ...

რომ ქართველობას არ დაუკარგნია რწმენა და დიდი სიყვარულიცა აქვს წინაპართა მიერ ნაანდერძვე სარწმუნოებისა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ როდესაც ამას წინადა ხმა გაისმა ალავერდის კათედრას კვლავ თავის მოძღვარი დაუბრუნდაო, ყველას გული გაუნათდათ, სიხარულის შარავანდებით შემოსათ ნათელი სახე. მაგრამ... როგორც სჩანს, ბედი არ გვწყალობს... ყოველივე შემთხვევაში, თუ მაინც და მაინც ის განმეორდება ან უნდა განმეორდეს ოდესმე რაც ეხლა ხდება: და ქართულ კათედრაზე, თუნდა სახელმწიფოებრივზე, უნდა არა ქართველი დააყენონ, დეე, დარჩეს იგივე კათედრა ისევ ობლად, რადგან იმედი და საოსებით მაინც იცოცხლებს ჩვენი ეკლესია, თორემ ასეთი საქციელით იგი სამწყსოც ჩამოშორდება, ეს იმ სამწყსოს, რომელიც დღემდის ამ ყოფილ კათედრას შერჩენია.

ღიახ, სწორედ ღახვარის თანასწორი იყო ეს

ამბავი ჩვენი ერისათვის. მართალია, ისედაც მრავალ ტანჯულ ქართველ ერს და მის ეკლესიას ბევრი რამ გადახდომია თავზე, ბევრი იმედებისა და უიმედობის ფიალა გამოუმშრალდება, არც თუ ამ დანიშვნაში ჰხედავს რაიმე მოულოდნელს, მაგრამ

სამსახურითაა

—ზიანი.

უდღეური გაზაფხული

ჰო და რა, მაშ რა არის თუ არა უდღეური გაზაფხული? ჯერ თვებრვალს ფრთა არც კი შეუკვეცია, რომ ამ დღენაკლამ თავი წამოაჭყო და სულელსავით გაიღრიჭა. უმზგავსი! ნეტავი რა აცინებს? აქაო და ბუნების წესრიგს წიხლი ვცხეო, სიცილის უფლებაცა მექნებაო! ზოგი „ტიფლისელებსაც“ ჰკითხოს, რამდენად ეცინებათ! სულ მათათს აყრიან! ან რატომც არ დააყრიან, როდესაც ეს უდღეური მოყოლილა და ოსმალთა ტყვეებს კოტრაბანდად აყოლებს ჭირისა და ათას გვარ სწეულებათა თესლეულობას. თავზე ხელი მოუსვია, ბატონო ჩემო და მარჯვნივ თუ მარცხნივ აბნევს... სთესს... თითქოს სასურველი ყვავილების თესლიაო თან კი აცინის, იცინის, კვდება სიცილით!

მაგრამ „ტიფლისელები“ რის „ტიფლისელები“ იქნებოდნენ, რომ საჭირო ზომები არ მიეღოთ და საკუთარ პარლამენტიდან შესაფერი განკარგულებანი არ გამოეცათ. ძველის ძველ კარაბადინში აღმოაჩინეს, რომ ჭირს ჭუჭყი და სივიწროე სჯავრებია, თურმე ჭირს სიკვდილი მოსდევს და სიკვდილს კიდევ ახალი ჭირი... ამიტომაც რადიკალურ ზომებად ჯერ ის მიიღეს, რომ „ტიფლისში“ ყოველი კუთხე მოეარნათ, რომ ასეთი ჭუჭყი და სივიწროე მოეპოთ, სწრაფად გაჩნდნენ იობის ეშმაკებიც — სანიტარები, და აი, სხვათაშორის რა მოხსენება წარუდგინეს თავთავიანთ ნახულის ვითარებაზე:

— გაგვირდი, ველარ მიცვნია ჩვენი შუა ბაზარი, — სთქვა პირველმა, — ასეთი სუფთა ასეთი კულტურულად მოწყობილი, ასეთი კრიალა რამ არ უნახავს თვალს. ერბო რო დაგექცეს, ისე აპკრიბავ, რომ მტვერიც არ მოეკაროს. ვარდის სურნელოვნებამ ოდევკალონი დასჩრდილა... გააქარწყლა...

— ოჰო-ჰო-ჰო! რა ბაკები, რა თავლები... რა თავლები, რა ბაკები! — განაგრძო თავის მხრით ავლაბრიდან მოსულმა მეორე ეშმაკმა, — ხომ წარმო-

გოდგენიათ ჩინეთის მეფის სასახლე, ან ისეთი, ზღაპრებში რომ დიდი ხელმწიფის სასახლეებია, სწორედ ისეთია... რა „კალანიხაცია“, რა „ვინტილანცია“! ეხლა ელექტრონის პა-პა-პა-პა! სულ ცეცხლის ხვრთი გვეგონება... აღის ფერი ცისარტყელის ზოდრები!

მაგრამ მისი პოეტური აღფრთოვანება უფროც მესამე შიკრიკმა დაარღვია მეტად მძიმე და აუტანელი დისონანსით. ზურმუხტოვან სოლოლოაკის კალთებზე სერგის ქუჩის სიფიწროეს კინალამ სული შეხუთებინა მისთვის. ჰაი-ჰარად გამოქცეულა. წინადადება შეიტანა სერგის ქუჩა, შემდეგ, ზოგიერთა სახლები, რომელნიც შემთხვევით პროსპექტზე თუ სხვა დიდ ქუჩებზე აუგიათ, დასწვან, ან და შიგ ყვე თურქები მოათავსონ, რომელთა გაწყვეტა ხმლითა თუ ჭირით ჩვენთვის სულ ერთიაო.

მაგრამ ამ გულგასახეთქს მოხსენებას ახალი მოჰყვა:

— რა ვნახე, რა... მიშველეთ... უბედურება... „მუხრანის დეორი“ ჭირის ბაცილების ბუდვდ გადაქცეულა... წუმბე... ტალახი... ნავით მომიხდა შესვლა... მწვანოში ბაცილა... გორდებში ბაცილა... ბანკებში ბაცილა... ჯონჯლის წნილში ბაცილა... ყველში კიდევ სამ არშინიანი ტიფის ბაცილა... რა სიფიწროე... რა სიმყრალე... მარჯვნივ ბაცილა... მარცხნივ ბაცილა... კედელზე ბაცილა... ცაში რომ ავიხედე, იქა ბაცილები დაფრინავდა... ერთი სიტყვით, „კრუგომ“ ბაცილა იყო... ბაცილა... სულ ბაცილა... ბაცილა...

მაგრამ შეხვთ, ახალი უბედურება:
— წყალი, წყალი... ტიფის ბაცილა თან წამოყვა! — შეპლრიალა ახალმა შემოსულმა: ვნახე „ქართლი“-ს საზოგადოება... რა უქნიათ... რას სჩადიან... ხელოვნურად ტიფის ბაცილებს ავრცელებენ... ვაშლები... რა ვაშლები... დამყაყებული... გაოხრებული... კიბორჩხალას მზგავსი კამეჩის თავის ოდენა ბაცილები დაცოცავენ... შიგნით კიდევ, ეზოში ახალ ყაფაზებს ამზადებენ... დასწვით, დასწვით.

დაიხრიალა და გულიც წაუვიდა.
„ტიფლისელები“ მის მოსურიელებაში იყვნენ, რომ კიდევ ცხელ-ცხელი ამბები შემოიტანეს ფრინავმა შიკრიკებმა. ამათაც აღმოეჩინათ მზგავსი ბაცილები, საბურთალოზე, რიყებზე... წისკვილებზე... თქმა არ უნდა, ყველას მოხსენება ყურადღეს და სასტიკი ზომებიც მოიმარჯვეს ბაცილების

მოსასპობად: გადასწვან ყველა ჩამოთვლილი ადგილები, გერაზე ნაბდის თარდა ჩამოაფარონ ქართულ გიმნაზიის თეთრ შენობას, რომ ზენა ქარს შეუშალონ ქროლვა. ^{ჩამოაფარონ} ^{შეუშალონ} ^{ქროლვა} ^{მუხრანის დეორს} და მის „ვიწრო სარკობებს“, გაფისულ იქმნას, რომ შემდეგ ქვაფენილით მოართონ, ხოლო იარმუკა გადაიტანონ „ვანქის ბაზრის დეორში“, სადაც სიმშვენიერეს, სისუფთავეს და სიფართოვეს ვერ ასწერს თვალი!

თვალი დაუდგეს უდღეურ გაზაფხულს, მაშ რა ეგონა? „ტიფლისელთა“ კარაბადინი ბევრს მაგისტანა უდღეურებს დაისამარებს!

შავთვალ.

ვ რ ე ს ა

„ახალმა აზრმა“ ფრიად სიმბატორი წერილი უძღვნა თავის ფურცლებზე გამოქცეულთა ბედს. იგი ხსნის გამოქცევის მიზეზებს, ეხება სომხებს, აისორებს, რომელთაც ფაქტიურად ყველა ეხმარებიან და ბოლოს განიხილავს ჩვენი ქვეყნის ერთ კუთხეს, აქარას, რომელსაც უდიდესი უბედურება დაატყდა თავზე, მაგრამ პატრონად, დამხმარებელად კი არავინ აღმოუჩნდა:

„დღეს ადგილობრივი და სატახტო პრესა სომეხთა და აისორების ბედს დასტირის. მართლაც, მათი მდგომარეობა მძიმეა. მარა არის ერთი კუთხე, რომელსაც გარეშე და შინაურ მტერთაგან გაცილებით უარესი დღე დაადგა. ეს არის აქარა, მისი მდგომარეობა მართლაც აუწერელია. გაივლის ხანი, სომეხ-აისორების უმრავლესობა თავის სახლ-ქარს დაუბრუნდება, ხოლო აქარელთა გოდება შთამომავლობას ისევე გადაეცემა, როგორც ებრაელთა გოდება მდ. ეფრატის ნაპირას. ამას ისტორია ვერ დაივიწყებს.

აქცევენ თუ არა აქარლებს რაიმე ყურადღებას?

ადგილობრივი შოვინისტური პრესა ამაზე განზრახ სდუმს. ამავე ტაქტიკას აწარმოებს ლიბერალური პრესა რუსეთში. პ. მილიუკოვები ბოსფორ-დარდანელისაკენ იცქირებიან და ამიტომ აფუჩიჩებენ აქარელთა აწიოკებას. მართალია რუსეთის ლიბერალები, არც სომხის ერისათვის იმეტებენ თავისუფლებას, მარა დახმარებას მაინც პირდებიან, დახეთ საკვირველებას! ამ დახმარება-

შიაც შოენისტურ შხამს ანთხევენ. დაეხმარე სომეხსა და აისორს, მარა გულზე ხელი ჰკარ საბრალო აქარელს, საერთოდ მუსულმანს და შეიძლება ქართველსაც. ასეთი პოლიტიკის მიზანი ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, მარა სამწუხაროდ მას ვერ არჩევენ სომხის ნაციონალისტები.

პოლიტიკოსები ხშირად ამბობენ: დაქსაქსე, რომ იბატონო. და აი პ. მილიუკოვებიც კავკასიის ერებს ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებენ, რომ ყველა ერთი წინააღმდეგურად დაიმორჩილონ. ნუ თუ ეს ძნელი მისახვედრია?

ასეთი პოლიტიკა დამღუპველია მთელი კავკასიისათვის და ამიტომ ყველა ვალდებულია მას შეებრძოდოს. დახმარების ღირსია ყველა გამოქცეულ და დარბეულ აწიოკებულს. აქ არ არის არც ელინი და არც იუდეელი. თუ ხაზინა დახმარებას გაიღებს—ეს კი აუცილებელია—ის ყველა დარბეულს უნდა მიეცეს განურჩევლად ეროვნება-სარწმუნოებისა.

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! ყველას, არავითარი ელლინი, არავითარი კბრაელი მაგრამ თუ სხვები არ გვაქცევენ ყურადღებას, ჩვენი მოვალეობაა მარად ვიყვიროთ, ნალარით შევძრათ ქვეყანა, რომ გვშიან, გვწყურიან, დარბევსაგან სული ჩვენც გვხდება! საკუთარ წყლულს მივხედოთ, საკუთარს და ჯანსაღნი და განკურნებულნი, გვერწმუნეთ, მეზობლებს და სხვებს უფრო თამამად დავეხმარებით და შეუმსუბუქებთ მძიმე ტვირთსა.

„რას ნიშნავს ეს?“ ამ სათაურით ერთ წერილს ათავსებს გაზეთი „ბაკინეცი“ თავის მორიგ ნომერში. წერილში გამოთქმულია აღტაცება აკაკის გრანდიოზულ დასაფლავების გამო, როდესაც ქართველობამ „თავის კულტურულ ძალთა დემონსტრაცია მოახდინა“. შემდეგ ეხება თოფჩიბაშის

მიერ წარმოთქმულ სიტყვას, რომელმაც დიადი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე და ბოლოს მოჰყავს „პორიზონის“ წარმომადგენლის სიტყვა, რომელიც დისონანსად შეიქრა აღფრთოვანებულითა სიტყვებში მხოლოდ იმდენად, რომ ერთგვარის უმადურობით შენიშნა: ჩვენ მას პატივსაცემით მის პოეტურ ნიჭისთვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ზოგიერთ პუბლიცისტურ წერილებსაო“. სწორედ ამის გამოა, რომ „ბაკინეცის“ გაკვირვებით ნიშანს მოჰყავს კითხვითი ნიშანიც:

„რას ნიშნავს ესა?“ და შემდეგ: „ნეტავ რას ჰგულისხმობს ბ-ნი ტატევოსიანი („პორიზონის“ წარმომადგენელი)? იგი განსვენებულს მხოლოდ კარგს პოეტად სახავს. და ეს არის სულ, სხვა არაფერი? მაგრამ როგორც ადამიანი, როგორც ხალხის მასწავლებელი, როგორი იყო განსვენებული? იგი ვერ ბედავს გარდაწყვეტით პასუხი მოგვცეს. მაგრამ იმდენ გულკეთილობამდინ მაინც მიდის, რომ ა. წერეთელს აპატიოს მისი ზოგიერთი პუბლიცისტური გამოხვლა, როგორც „მის მოწოდებისთვის შენთბევევითი და სრულიად უცხო რამ.“ ვიშ, რა კეთილი ვინშეა ბ-ნი ტატევოსიანი! მაგრამ დაე, უწყოდენ ბ. ტატევოსიანებმა, რომ აკაკის გამოხვლა არასოდეს უცხო არ ყოფილა „მის სულისა და მოწოდებისთვის!“ და არც შეიძლება ყოფილიყო! ესცილისწამებაა! ეს სიცრუეა! მაგრამ თუ ვისმეს რაიმე არ მოსწონს მის შემონაქმედში, აქ პოეტს ბრალი არ უდევს, როგორც მის საყვარელ მშობელ ქართველ ერს, რომელიც გულწრფელად ყველა მეზობლებს თავის ძმებს უწოდებს! არა, არა ბ. ტატევოსიანებს არავითარი უფლება არა აქვთ განსვენებულის ფერფლს, კეთილშობილ ქართველ ერის ღირსეულს წინამძღვარს, რაიმე საყვედური შეუთვალონ!“

ომის რეკულიდან

აგერ დედას ქორთა შვილი დაუგდია შარა გზაზე,
დაფეთებულ ირემივით თავად გარბის მალლა მთაზე;
პატარა კი ხელ-გაწვდილი გათოშილა, მთლად დაძრულა,
როგორც დასკა დედამ შვილი ისე არი, არ დაძრულა.
დედავ, მაშ შვილს აქამდისინ ძუძუს რალად აწოვებდი
თუ სამგლედ და საყვავ-ყორნედ შუა გზაზე დასტოვებდი,
ფუი შენისთანა დედას, ფუი შენისთანა მშობელს,

ძუძუ მკვდარს და შერცხვენილსა, სისხლისა და ხორცის შემობელს.
 უსულ-გულთა ნაფოტს ჰგევხარ, თვით წყალმაც კი რო გარ-იყა
 თუ ნამდვილი დედა იყავ, შეილთან უნდა მომკდარიყა.
 ყველა დედამ სიცოცხლისთვის ტყე და მთა რო გაიფარდოს,
 მომავალი ვაჟაკები ვილამ უნდა აგვიზარდოს?!
 მარტოდ მარტომ, ერთად ერთი მხდლად თავი რო გადირჩინე
 უბედურო ამითი ხომ მტერი უფრო გააცინე.
 თუ სიცოცხლემ დაბადებით სიბეზღე გიანდერდა,
 მაშ ბუნებამ რაღადა გშვა, და დედობა რად გაკერდა!
 არა, არა, არ მგონია, ამას როგორ ჩაიდენდა,
 დედაშენიც შენს მაგივრად გვამიდან წყალს დაიდენდა.
 თავად გაჩნდი შენ ეგეთი მახინჯი და მაიმახი,
 შენ სხვა დედებს არა ჰგევხარ და არცა ხარ დასაძრახი.
 ყველა შენისთანა დედა სოფელს უნდა გაერიდოს,
 რომ მეწყერმა ჩაიტანოს და ღვართქაფმა შორსა ზიდოსს..*)



შიო მღვიმელი.



ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

(მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა)

გასულ წელს ბ-ნმა მიხეილ გედევანიშვილმა ფრი-
 ად სიმბოლური სჯმე განიზრახა: ძვირვასად გამოეტა
 ილია ჭავჭავაძის თხზულებანი და ამით ერთგვარი უძკარ-
 ფასესი ბეგლი დაეღვა სახელგანთ მამულიძივილიანთვის,
 თუნდა იმის მინამცხავეს სახით მანც, რაგორც „ჩვეუ-
 ხის ტეოსიანი“ საშვილიშვილო გამოცემა დაგვატოვა
 ქართულიშვილმა. ამ გარდაწყვეტილებაში, გვასსოვს, ბრე-
 სში თუ ისე, მიზანშეწინილი რეკლამის გამო, დიდი
 აღტაცება გამოაწვია ეველს ქართულის გულში, ეველს
 ატოვდა, სიამის ქარმა დაჭბურა, და მოინდომა პეტროვი-
 მულ გამომცემლისთვის ეოველმხრათ შეეწო ხელი, რომ
 ამით მაინც ცოტად თუ ბევრად უნებური საშთამომავლო
 ჩირქა უგუნურების მიერ ჩვენს საგზე მხსველთა რა-
 გორში გამოერეცხნა. შესდგა კომიტეტი, გამართა სწრა-
 თი კრებები. მოიწვიეს მხატვრები, კრიტიკოსები, ერთი
 სიტყვით, ეველს ისეთი ბირები, ვისაც ცოტად თუ ბევ-

რად მწიგნობრობისა ესმოდა რამე. აქ ადგილი დაუთმეს
 თვით პარტიათა წარმომადგენლებსაც კი. ეველს ამ ამბებს
 საზოგადოება ეურგანბული უტყერდა და მოუთმენლად
 ელოდა აღთქმის კიდობნის ხახვას. ეს ხატურა, გვიან,
 მაგრამ მაინც აუსრულდათ. ფრთად მსუქანი საფასურით
 ხელის მიმწერლებს დაურიგდათ გამოცემის პირველი
 ტომი, გ. ეიფშიძის წინასიტყვაობით და კ. აბაშიძის
 კრიტიკული წერილებით. მაგრამ ვაი, რომ სანტრულ
 ფარდის ჩხდისთანვე ეველს პირკატა ეცა. ილიას მთა-
 ვვანე ქართულმა საშინელებად დაინახა გამოცემა. ვინ
 იცის, რამდენს გული სწყდებოდა, რომ საშუალება არ
 მოეპოვებოდა მის გამოსაწერად. დღეს კი, ვინც გამო-
 წერეს, ეურება ჩამოჭვარეს და გუდნათუთქუდნი იძახდ-
 ნენ: მაშ სულ ეს არის? გატულა გული და ამ გულბატე-
 ხილობას საფისი საბუთი ქქონდა. ჯერ არის და ფორმა-
 ტი გამოცემისა არ არის სასურველი. ჭხუდავთ, მასალის
 დარსებას მხლოდ კარგი ქაღალდი შეადგენს. რაც შე-
 ენება მასალის აწეობას, ტენიკის უოველგვარ საზღვარს
 ციფდება. აკ ნძვა რა არის, ისიც კი არ არის სათანა-
 დო. სკამარისთა ადრთ, რამდენჯერმე გადაფურცლოთ,
 რომ წიგნი აძიძვნოს. ამას შეურიგდებოდა ადშიანა, რომ
 შიგნით მხატვრობის მხრით გვაკმაყოფილებდეს. არ ვი-
 ცნო, მაგრამ რა ესთეტიკურმა გემოვნებამ დასტური დასცა შიგ
 ჩაქსოვილ სურათებს? აი, თუნდა აჯაღბედზე გადავშვი

*) ავტორმა ერთ შეკაბრისგან მიიღო წერილი,
 სადაც შემადრწუნებელი ფერადებით აწერილია რსიმაღთა
 ანხარებიდან გამოქტეულთა სურათები. სიგულგრილე...
 დედა როგორ გადააგდებს შვილს უღარდელად. ამ ამბავმა
 ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს მგოსანზე და
 გრძობათა განცდა ამ ლექსში გამოჭნატა.

რედ.

ფურცლებს და შვითხველს ვახოვ მსჯავრო გამოიტანოს: რა ფასა აქვს გეთაყვათ, „ქართლის დედის?“ (გვ. 25) ხუ თუ შეტყვევება ამ ქალისა ცოტადნად მაინც გაფიქრება, გაძურბობთ, რომ ილიასეული სანუკვარი „ქართლის დედა“ დაგინახოთ? სადაა იუქრმორეული შეტყვევება? ან რა შიშა? ახლა ხელისი? მითითებული ილიასეული, თუ ამ გვარს „ქართლის დედის“ ხელის ბავჯის გაძრტყულ ფებს ვუწოდებთ... მაგრამ ვსდუმდები, შივად ქვეით და აღარას ვაშობო უფრო სკოლის ხანდავადარის მზგავსს სურათებზე, როგორც არის დედა აკვინახ „ჩახა“ (გვ. 49), ან კიდევ „შიძინარე ქალი“ (გვ. 57), ანუ „დედა და შვილის“ გამოთხოვება (გვ. 158) და სხვა. ავიღოთ უფრო სერიოზული და სპესუბს-სმგებლად: აი თქვენ წინ სურათი „კაკო უჩადიდან“ (გვ. 162). ხუ თუ ეს სურათი საკსებთა გინატრესთ იმ შესანიშნავ მადრატბას, რომელიც ილიამ უცხო ფერებით დაგვიხატა:

„შიდის ურეში და უეცრად
ვიღამაც ტუიდას ასკუბა ცხენი, —
მთვარდა იგი ურეშს შედგრდა,
მჭმუნვარე სახის ამუად მზენა“.

დახუტეთ თვალთ და ისე წარმოიდგინეთ ეს სურათი: რა ღამაზია, რა ცოცხალი ახლა დახედეთ აქ შესრულებულს, სადაა ეს „ჩახკუშები ცხენი“, რომელიც ბუნებრივად ანერციას უნდა გაეტატროს, სადავე ამტორევედეს და ტორების ცემით მხედარს ძადად უნდა მიაქანებდეს საშავარდნო შარავისაკენი ამაოდ დაუტყუტა მუურშეს თვალბები. მხედრის ფრთად ჩვეულებრივი შიშა, შესვენებული ცხენი, თითქოს აშარატით გადასდებლად დამდგარა ჩახულა მგზავრი თდხავ სიცოცხლეს არა ჭხატავს, მხედარს, რომელსაც დატყუვევებულ შიძინის ფრთები გაუშლია და კამარა გადულებულს ღაყვარდისაკენ მაუწებს გული! არა, დაჭხუტეთ კვალად თვალთ, თორემ ილიას შიერ აღწერად სურათის მშვენიერება დაჭვარგავს თავის დარსებას და უნებურად გულს დაგწუვეტო!

ავიღოთ უფრო რთული, ავეარულით შესრულებული სურათი „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ გამგზავრების (გვ. 202). თქვენი არ ვიცი შვითხველთ, მაგრამ როდესაც შირველად დაკხედუ ამ სურათს, შეგონა, ილიას უცხო ერთა ცხავრებაც აუწერია მუთქი, როცა ცნობის მოყვარობით გადაუშაღე ამ ჩემგან ვითამც გამორჩენილ უცნობ შოემის წასაკითხად, გამეცინა: თურმე დიდი დიმიტრის გამგზავრებას სულ ახლად დავაყვირდი სურათს, არაფერი ამოვიკითხე მშობლიურა, ერთად ერთი შერსშექტივებში ვხედავ სვეტიცხოველს, თორემ სხვაფორავ იგი ხემთვის უცხია. აქ შეგვიძლიათ იტულისხმით ბერძნები, ძველი რუსები, განსაკუთრებით ამაღა „ბოიარების“ სა-

ხით დადაგებულან, მაგრამ ძველი ქართველობა ვი არა. არც ერთი, არც ბერი ჩვენსას არ გუებნებათ, სრულიად უცხოა უსულ-გულთ, აუშტა სურათი ცოტად თუ ბევრად ხვირანად არას შესრულებული, თუ მხედველობაში არ მივიდებთ აფითან მეფე დიმიტრის მხედრობის გამოტყვევება უფრო ბანქოზე ხახატარს მუწეის მჭკვს, ვიდრე თავდადებულის მჭმუნვარე შეტყვევებას.

ვერც „განდეგილი“ გვაკმაყოფილებს, ანტურაჟის გარდა აქ ქართული არა არის რა. განდეგილი სწორედ იმ სურათს მაკანებს, რომელიც შუშკინის თხზულებათა იაფ ფასიან გამოცემებში ხშირად იშთვება „ბორის გადუნაფიდან“ რომ ამოლებულია: „еще одно послѣднее сказаніе“... ვერც განდეგილისა და შიძინარე მწვემსი ქალი არ არის სათანადოდ შესრულებული, უოველივე შემთხვევაში ეს ის არის, რასაც ველოდით, რაც გვსურდა გვეჩანა.

აღარ შევეჩები „გლახას ხაშობბის“ სურათებს, ან „კაცია აღამიანისას“, რომელთაც უფრო კარიკატურული სახე აქვთ. ერთად-ერთი რამდენიმე დამკმაყოფილებული სურათი ისევე „ანრდილილი“ არის (გვ. 122).

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ კმარა. ვიტყვი, რომ ასეთი დიდა სასუიღლიანი გასოტემა სრულს სიმრგვალებს შოითხოვდა და არა ასეთ შაბღანურს. ჩვენი დარბობი საზოგადოება წელზე იყის იდგავს, არ ხოგავს თავის საყვარელ მატულიშვილთა ძეგლებსათვის აფგის წვლილს, მაგრამ ჩვენც მოვალენი ვართ შირიათლად შას იშედები გაუმართლოდ, როგორც ეს შესძლო და სამარადისო ძეგლად დასტოვა განსვეჩებულმა ქართველიშვალმა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. ჩვენ ხაღხს უფარს ეფექტი, უფარს ღამაზი და კვალეუბა, მისთვის არასა ხოგავს. მაგრამ ჩვენ ამით ბოროტად არ უნდა ვინარგებლად, თუ ქართველიშვილობა არ შეგვიძლიან, გაფაკოთთ ის, რაც ჩვენ ძაღღობეს არ აღემეტება, საზოგადოებისადმი ანგარიშის გაქევა დიდი მოვალეობაა და საწწხაროც სწორედ ის არის, რომ ამ მოვალეობის შირიათლად შესრულებას ვერ ვხედავთ ამ ახალს გამაგემაში...

ქართლელი.

გიორგი და გეურქა

(დასასრული.)

V

— ბარაქალა, ჩემო ბეგანი ჩემს მოლოდინს ვადააქარბე. რა მშვენივრად მოაწყე ეს დუქანი და!..

— მე სახელად გეურქა მქვიან კნიაზ!

— და შე კაი კაცი მაშ აქამდის რაღად მიმალამდი შენ სახელს?

— ისე რაღა. სახელი კაცს უნდა ერქვას და მე კი მაშინ კაცი არ ვიყავ, როცა პირველად მნახე. კაცს თუ არაფერი აბადია, არც სახელის ღირსია იგი.

— მართალს ამბობ, ჩემო გეურქ. კაცი სახელით იცნობება; სახელს კი დამსახურება სჭირია ან ქონებით, ან გონებით, ან მამაცობითა და გულადობითა. აკი შენც დაიმსახურე სახელი ასე რიგინად და ოსტატურად დუქნის გახსნითა და მოწყობით.

— ჩიტის რძე მოითხოვე, გიორგიჯან, როცა კი გინდა—მზად იქნება!

— მაგაზედაც გერწმუნები. ისიცა მრწამს, რომ შენ გულშიაც ეხლა წალკოტი ყვავის და ამას იქით შენს პირის სახეზედაც განუწყვეტელი ღიმილი იქნება გამოხატული.

— ეჰ, ჯერ სადა სცალიან ჩემ გულს საწალკოტეთ! ეხლა უფრო ძრიელ იწყო ზღვასავით დეღვა ჩემმა გულმა. ხუძრობა ხომ არ არის—შავი დლით თანხა შევკარი და სულ აქ ჩავყარე ვაქრობაში; ეხლა რომ ვიზარალო, ხომ დავიღუპე სულიან ხორციანათ!

— შენც ისე მოიქეცი, რომ არ იზარალო.

— აბა როგორ მოვიქცე გიორგი ჯან, ძვირად მოგყიდო სავაქრო? რომ ვერ ვიზამ მაგას! მაშ რილას მეგობრებივართ, თუ მეტს გამოგართმევ სავაქროებში? იმდენი დღეგრძელობა შენა გქონდეს და მეც, რაც მე შენთვის ნასყიდობაზედ საქონელი მომიცია. ან ნისიით ნურაფერს დაგახარჯვინებ? რომ ვერც მაგას ჩავიდენ! იქნება არც კი იცოდე, დვთისა წინაშე მეც არ მითხოვნია შენთვის—თუ რა ჯამი შედგა აქამომდე შენი ნისიებისა. ვაქრობა კი ისეთი არის, რომ ნაღდი უნდა ტრიალებდეს ყოველთვის, რომ მოგება გადიდეს და ამით თვით ვაქრობაც გაჩაღდეს და გაფართოვდეს.

— სწორედ გითხრა, მე შენზედ არა ნაკლებ მეწყინება, რომ იზარალო და ეგ შენგნით დაწყობილი სასარგებლო საქმე ჩაიშალოს. რითაც კი შესაძლებელია უნდა ვეცადნეთ, რომ არაფერი ევნოს მაგ საქმეს და პირიქით წარმატებაში წავიდეს, როგორც ფრიად სასარგებლო საქმე.

— მაშ სასარგებლო საქმე რომ არა ყოფილიყო, მე ხელს მოვკიდებდი! მე შენთვის ვცდილობ კნიაზო, რომ სარგებლობა რამ მოგიტანო, თორემ

სხვა კი არაფერი მაქვს სახეში. თუ მე ჩემი კერძო სარგებლობა მქონოდა სახეში, განა ისეთ სულელურ საქმეს ჩავიდენდი, როგორც ეს მე ჩავიდინე სადუქნე ადგილის ამორჩევაში? საზოგადო-მეგობრული სარგებლობის სურვილმა ისე გამიტაცა და დამაბრმავა, რომ აი სად ამოვირჩიე სადუქნე ადგილი და არა ჩემი კეთილშეძინებულის გვერდითვე. აბა რასა ჰგავს: აქ ეს სადუქნე ჩემი ადგილი, იქ სახლ-კარი და მოწყობილობა, მათ შუაში შენი ამოდენა ადგილ-მამული აბა რასა ჰგავს? რომ მონდომო ერთ დროს ფეხებს შემომანტვრევ და აღარ გამატარებ შენს მამულზედ. ფრთები კიდე მე არა მაქვს, რომ დუქნიდამ სახლში გადავფრინდე ხოლმე და სახლიდამ დუქანში.


— აბა, გეურქ, შე კაი კაცი, თუ გულში გქონდა ეგ, პირად როგორ დასთქვი ვის შეუძლიან შენ ხმა გაგცეს ან ფეხები შემოგანტვრიოს! მაშ რის მეგობრობა და მეზობლობა არის ჩვენში?

— შენ, ვიცი, არ გამცემ ხმას, კნიაზ ჯან, მაგრამ შენი შვილები გამცემენ ხმასაც და ფეხებსაც შემომამტვრევენ. მე და შენ თუ მეგობრულადა და მეზობლურად ვცხოვრობთ, შაიძლება ჩვენი შვილები ვერ მორიგდნენ ერთმანეთში. ამისათვის ეხლავე უნდა მოვუაროთ საქმეს ისე, რომ ჩვენ შვილებს არაფერი საბუთი უსიამოვნებისა არ დავუტოვოთ. მეტად უხერხულად არის გაჩხირული შენი მამული ჩემს კეთილ-შენაძენში. მე, რასაკვირველია, შენგან უფასოდ (ფეშქაშად, როგორც შენ ჩვეულებად გაქვს) აღარ ვისურვებ მამულის მიღებას; ეხლა მეც შემიძლიან, ღვთით, პასუხი გაგცე, და ან ამოდენა მამულს, რომელიც ჩემს კეთილ-შეძინებულთა შუარის გაქიმული და გაჩხირული, ვინ მიფეშქაშებს. მოდი და ეგ შენი ნისიები გავასწოროთ. ზოგი ეს ნისიები, ზოგიც ფულად მიიღე ჩემგან და ეგ მამული მე დამითმე. ჩემი კეთილ-შეძინებულიც გაერთიანდება და ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებსაც მოუესპობთ ამით ერთმანეთში უსიამოვნობის საბუთს, ერთ მხარეს შენ იქნები შენი დანარჩენი მამულით, მეორე მხარეზე მე ჩემი კეთილ-შეძინებულით და ვიცხოვროთ ასე ტკბილად, ძმურად და მეზობლურად—რას იტყვი ამაზედ?

— კარგი და პატიოსანი, მე სრულიად თანახმა ვარ ამაზედ.

VI

— გიორგი ჯან რა კაი კაცი ხარ შენ და რა ნაირად მებრალეები, რომ შვილები არ გიფარგანან—შენ არა გვეგანან.



საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური

„რუსების ჯავშენიანი მატარებელი.“

— მე რაღასაა ვიხივი ჩემო გეურქ! მართლაა და განა საბრალოსი არა ვარ და სამწუხარო არ უნდა იყოს ჩემთვის, რომ ცხოვრების წყარო—მამულ-დედული ხელიდამ გამომეცალა და ერთი ჩემ შვილებ-თაგანი, გონებით დაბრმავებული, ცათაფრინვას ეკიდება!

— შენ გიორგი ჯან, მესამე შვილს ემღერო, როგორც გატყობ. მაშ ვერ გაგიგია ჩემი აზრი. პირიქით ის მესამე შვილი არის შენ შვილებში საუკეთესო. (იმან შენც გადაგაქარბა კაი კაცობაში. შენ ზოგი მამული თუ მიფეშქაშე, მომეტებული ნაწილის დათმობა იძულებითი მოგიხდა და გენანებოდა და ახლაც გეწუხება მისი დაკარგვა. მაგრამ თუ ეგ შენი უმცროსი შვილი იქნებოდა შენს ალაგას, სრულიად უფასოდ, დაუნანებლივ და გონივრულის მოსაზრებით მე გადმომცემდა საკუთრებად მთელს მამულებს. მაგას ესმის, რაშია ც არის საქმე.) როგორც განათლებული და შესმენილი კაცი, სახელს დიდებას ეძებს და ამისათვის მამულს, არა სთვლის საჭიროდ, ღმერთიც მიანიჭეს რასაც ეძებს. ხომ გახსოვს, რანაირად შეგებრძოლად შენცა და შენს უმცროსს შვილებსაც, როცა თქვენ უარზედ იდექით და უკმაყოფილებას აცხადებდით ტყისა და მინდვრების ჩემ სახელზედ დამტკიცების დროს? მაშ საფუძვლიანად ვერ გიმტკიცებდათ, რომ

„მამული მხოლოდ გიშლიდათ და აფერხებდა თქვენს წარმატებით სვლას განვითარებისა და გათვითცნობიერების გზაზედ?“ აი ბაშხადოლემ! რომ ყოჩაღია — ყოჩაღია და! ღმერთმა დიდი დღე მისცეს, თავის მიზნს უთუოდ მიაღწევს.

— შენი ღიმილი ძრიელ კარგათა ჰხატავს, რა მიზანსაც მიაღწევს.

— ვა, გიორგი ჯან, რა ჩემი ბრაღია, რომ ახლა მე ვილიმები და შენ კი აღარ. ახლა ჩემ გულში ჰყვავის წალკოტი და იმისთვის ვილიმები. ერთიც მინდა შენ გასიამოვნო. ხომ სულ იმასა ჰნატრობდი, რომ ჩემ პირის სახეზედაც დაგენახა ღიმილი და აი ახლა ესეც დაგანახვე. ხომ მადლობელი ხარ ახლა?

— ეჰ, რა გაეწყობა!

— ის გაეწყობს რომ შენი უმცროსი შვილები მეტის-მეტად თავხედობენ და გააფრთხილე. იცოდე ისინი შეგარცხვენენ და უბედურებასაც შეგამთხვევენ.

— მითი თავხედობენ, რომ უსამართლობაზედ ხმას იღებენ?!

— ვა, როგორ თუ უსამართლობაზედ! მაშ ვალს მოშორება არ უნდოდა?

— ვალს კი უნდოდა მოშორება, ჩემო გეურქ, მაგრამ ვანა სხვანაირად არ მოვევლებოდა საქმეს?

თუ მოულოდნელად წრეს არ შემომავლებდი და შელავათიანად მომექცეოდი, განა ვერ შევძლებდი შენი ვალის გადახდას ისე, რომ სრულიად არ დამლუბვოდა მთელი მამულ-დედული? რას მოვიფიქრებდი, რომ შენ დაივიწყებდი შენს იმ გარემოებაში ულოუნას, რა გარემოებაშია? პირველად მე შენ შეგიბიზნე და შეგიფარე და იმ ჩემს ამაგსაც, რაც მე შენზედ დავთესე.

— ეჰ, შე დალოცვილის შვილო, მოჰყოლიაბარ და იგონებ შენც წარსულს. თუ რამ სიკეთე გიქნია ჩემთვის ან სხვისთვის, ღმერთი გადაგიხდის. უნდა გაიგო და შეიტყო, რომ სოფელი — ასე ვთქვათ, ცხოვრება კაცისა ცვალებადია: ხან ერთი დგას მალლა, ხან მეორე. მხოლოდ უნარი და გამჭრიახობა კაცისა იმაში გამოიხატება, რომ სამუდამოდ შეინარჩუნოს კაცმა მალლა დგომა. თუ წინად შენ იდექი მალლა, ახლა მე ვდგევარ მალლა და უნდა ვეცადო უოველის საშუალებით, რომ სამუდამოდ შევიწარმოო ეს მალლა დგომა.

— ვერ არის კაი გადახდა, თორემ შენ იცი.

— ვა, რა ვქნა, რომ ჩემთიი ღმერთს სულ სხვანაირი სული და გული მოეცია და რაც უნდა ბევრი მიკითხო თუ რა სიკეთე გიქნია ჩემთვის და რაც უნდა ბევრი იყბედონ შენმა პატიოსანმა შვილებმა ჩემს ვითომდა უსამართლობაზედ, ველარაფერს ვერ მოეწევით. მე თქვენი წყრომა და თუნდაც რისხვა შენი შვილებისა ძილს ვერ გამოფრთხობენ. ყველამ კარგად იცით, რომ მე ავაზაკობა და ყაჩაღობა არ ჩამიდენია, ვის დავეცი შარა გზაზედ, ან ტყეში ვინ მოვკალ — ვინ გავცარცვე? ამისთანები ისევ თქვენ მხარეს მოიკითხეთ. მე კი ღმერთმა დამიფაროს ამისთანა ავკაცობისაგან. მე რაც კი მომიპოვებია ჩემთვის მომიპოვებია და შემძინია ჩემის ჭკუათა და ყაირათობით, გამჭრიახობით, ბერხით, კეთილის შრომით და პატიოსანებით. და როგორ არა რცხვენიათ იმ შენს პატიოსან შვილებს, რომ ვერ შეუგნიათ ეს? უსაფუძვლოდ ყვირიან და დაუმსახურებელ ბრალსა მდებენ და შეურაცხყოფას მაყენებენ უდანაშაულო კაცს? განა ეს პატიოსანება და სიჭკვიანე არის მათის მხრით? რა სწადიანთ ამით? სიმძულვარე და შფოთი უნდა ჩამოაგდონ ჩვენში და მოშალონ და მოსპონ ჩვენი კეთილი მეზობლობა? განა ამას შეგნებული და ნამუსიანი ადამიანი ჩაიდენს?

— აბა რა გიპასუხო მაგაზედ გეურქ!..

— გეურქ სიმონიჩ-თქო...

— ჰო, გეურქ სიმონიჩ, რა გიპასუხო მეთქი

ყველა მაგაზედ? არაკი კი არ გეგონოს, ნამდვილ აშბავს მოგახსენებ. ერთს ორთავ თვალთ ბრმა ახალგაზრდას ტყეში სასირცხვილო საქმეზედ მოასწრო თვიხმა მეზობელმა და დაუძახა: სერმან, ეგ რასა ჰმერებო. ბრმამ ხმაზე იცნო: მუხუბფო და მიამაჩა: ტიტიავ, არა გრცხვენიათ. მამასწარი ამისთანა საქმეზედაო. ფუი, შენ კაცობას კირა უთხრაო. შე კაი კაცო, თვალს ვერ ამარიდებდი, თუ დამინახე და ისე ვერ წახვიდოდი შენს გზაზედაო. სწორედ ეს აშბავი მაგონდება ახლა შენს ჩივილზედ.

-- მაშ შენც ადასტურებ შენი შვილების საქციელს რალა? კარგი, ასე იყოს!

VII

— გეურქ სიმონიჩ!

— პარუნ გეურქ სიმონიჩ-თქო..

— პარუნ გეურქ სიმონიჩ, რა არის, რომ მაგისთანა სასტიკობა არ გამოგეჩინა!..

— რაგინდა? ცოტა მალლა თქვი; მე არ მესმის კარგად, როცა ჩემს სასარგებლოდ არა ლაპარაკობენ.

— ერთად-ერთი სახლი და დამრჩა თავის ეზოთი; ყველაფერი ტყე იყო თუ მინდორი, თუ ვენახები — სულ გამომაკალე ხელიდან. რა იყო რომ ეს სახლი მაინც არ შემარჩინე და ისიც გინდა ჩამომართვა და დაძსვა სრულიად ცარიელზედ. რა მტრობა მოგაგონდება ჩემგნით, გარდა სიკეთისა, რომ ასე შეუბრალებლად შეპყრობი?

— კაცო, ნუ თუ შენ ვერ წარმოგიდგენია, რომ ის შენი სახლის შენობა თავისი ეზოთი მთლიანობას უკარგავდა, როგორც ლამაზი ქალის ლოყაზედ ამოსული მუწუკი, ისე ამახინჯებდა ჩემს კეთილ-შეძინებულ მამულს. შენა გგონია შენი სახლის შენობა ძიტაცებდა თავისი სიძვირფასით — ეგ შენობა ხვალვე მოიწმინდება თავისი ადგილიდან, რადგანაც ჩემთვის საჭირო და სასურველი ადგილი იყო მხოლოდ და არა შენობა.

— ესე ჩქარა როგორ უნდა დაივიწყოს კაცმა, პარუნ გეურქ სიმონიჩ, როგორც შენ დაივიწყე ჩემი ამაგი, ჩემი მეგობრობა?

— ეჰ, შე მამაცბონებულო, იგონებ კიდევ წარსულს! რა ამაგი და რის მეგობრობა? მეგობრობა გამიგონია თანასწორი პირებისა. ჩვენში კი რა თანასწორობა შეიძლებოდა ან უწინ ან ახლა. უწინ შენ არ იკადრებდი ჩემს მეგობრობას და ახლა კიდევ მე არ ვიკადრებ შენს მეგობრობას. თუ მოგო-

ნება არის წარსულისა, ის მაიგონო, თუ როგორ მარიგებდი: გულ-მაგრად უნდა დაუხვდე კარხედ მომდგარ ყოველგვარ უბედურებასაო. აი ეს დარიგება ახლა თითონ შენ გარგებს და გამოგადგება. ისიც მოიგონე, რომ მაშინ, როცა პირველად ერთმანეთს შეგვეყარა ღმერთმა, შენ გულში წალკოტი ჰყვავოდა, და ჩემ გულში ქვაბი სდებოდა. ახლა თუ შენი გული სდებს ქვაბსავით, ჩემ გულში წალკოტი ჰყვავის. მაგრამ ზოგჯერ გული ქვათაც გადაიქცევა ხოლმე და იცოდე, რომ, როგორც ქვა აღუდებულ ქვაბში ვერ მოღებება და ვერ მოიხარშება, ისე ჩემში გულიც არ მოღებება, რაც უნდა ძველებური ზღაპრები და არაკები გააბა. იმ შენ ყველა შეიღებდაც ურჩიე, რომ არამცთუ როდისმე ფეხი არ შემოდგან ჩემს მამულში - ისიც კი არ მიაშება, რომ ახლო აუარ-ჩაუარონ ჩემს მამულს. ენის ლაქლაქსაც თავი დაანებონ, თუ თავისთვის სიკეთე ჰსურთ, თორემ ხუმრობა არ მიყვარს.

— ჰო, კარგი, გაჯავრებული ხარ ჩემ უმფროს შეიღებზედ. უმცროსმა ხომ არაფერი დაგიშავა, რომ იმასაც თან ატან, იმისი ხომ ყოველთვის მადლიერი იყავ და აქებდი — ერთ დროს სიძეთაც კი გინდოდა გაგეხადნა.

— ხა, ხა, ხა!.. სიძეთ გამეხადნა!.. მე პარუნ გეურქ სიმონიჩ აზატიანცს სიძეთ გამეხადნა ვილაც ჰქვა გახვრეტილი ქართველის ხა, ხა, ხა!.. და შენც გჯეროდა ეს გულუბრყვილოთ? მე ის შენი უმცროსი შეილი მამწონდა იმდენად, რამდენადაც ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობდა და მოქმედებდა. ეხლა კი ის ჩემთვის საჭირო აღარ არის, ერიპაა!.. სად წავა, თუ რამდენი კაცი მე ჩემს ნებაზედ ვათამაშო ჩემი სარგებლობის გულისათვის, ყველა სიძეთ გავიხადო! მაშინ პარუნ გეურქ სიმონიჩ აზატიანცი აღარ უნდა ვიყო!.. კაცი თავის თავის ღირსებას არ აფასებს; არ ესმის თავის სარგებლობა; ვერ ჰხედამს ვინ მტერია და ვინ მოკეთე და ასეთი კაცი სიძეთ გაიხადეო. რა ჰკუას მასწავლიან! არა, ჩემო პატიოსანო გიორგი, ისევ ის დარიგება მოიგონე, რომელსაც მე მაძლევდი ოდესღაც და მოიხმარე ახლანდელ შენს მდგომარეობაში, თორემ სხვა სახსარი და წამალი შენ არა გაქვს.

— მეტი რა გაეწყობა!.. მაგრამ სოფელი ისევ ცვალებადია. დღეს ერთია მალლა, ხვალ სხვა.

— ჰო, ეგე ეგ მოვიხდა! მაგას რა სჯობია, რომ გულდამშვიდებით ელოდნენ მოვა ის დრო, როცა შენ ისევ მალლა მოექცევი ცხოვრების ჩარხის ტრიალს. რა საჭიროა ახლა ტყუილად ლაპარაკი და გულის ხეთქა. გულსწრაფობით მალე დაჰბერდები. მხოლოდ მოლოდინი და კიდევ მოლოდინი იქნება შენი მხსნელი გაჭირებულ მდგომარეობიდან, აი ჩემი მოკეთური დარიგება. კიდევ ერთი შენი სასარგებლო ჩემი დარიგება: შენი შეიღები გააფრთხილე. ნუ იქცევიან თავხედურად, ნუ ყბედობენ გზათა უკან ჩემსა და ჩემ შეიღებზედ. როგორ შეიძლება ისეთი ლაპარაკი, როგორც ისინი ჩვეზედ ლაპარაკობენ. ადვილად შესაძლებელია მათ ლაპარაკს ჩვენში განხეთხილება მოჰყვეს. და ხომ იცი რომ შენა ჰსაჭიროებ ჩემს თავს, ჩემს დახმარებას და არა მე შენსას. მე, რასაკვირველია, იმათი არ მეშინიან და იმათ მუქარას ჩალათაც არ ჩავადებ. მხოლოდ ჩემზედ და ჩემ შეიღებზედ მათი უსირცვილო ლაპარაკი არ მიაშება და ერთხელაც არის მოთმინებიდან გამოვალ, და რაც ამას შედეგი მოჰყვეს, სხვას ნულა დააბრალებენ.

— ნუ თუ ძალაცა და სამართალიც შენ ხელშია, რომ ასე იმუქრები!

— საცა ფულია, ძალაც იქ არის, გავლენაცა და სამართალიც! როცა ჯიბე ფულით გატენილი მაქვს, ცილამ მთვარესა და ვარსკვლავებსაც ჩამოვალაგებ! არ იფიქრო რომ ამისი თქმისა ან მეშინოდეს ან მრცხვენოდეს.

მელანია.

1913 წ.

გერმანია და ინგლისი

მკითხველს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენება, რომ გერმანიამ ინგლისს მუქარის მუშტი მოუღერა და მთელი ჩრდილოეთის ზღვა და ირლანდიისა და ბრიტანიის გარშემო შემორტყმული ზღვები საომარ ასპარეზად გამოაცხადა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გერმანია ყოველ გემს დაჰლუბავს, რომელიც

კი გამოჩნდება ზღვაში, ინგლისისა იქმნება ეს თუ ნეიტრალურ სახელმწიფოსი, სულ ერთია. და ეს მუქარა მართო მუქარა რომ არ ყოფილა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ გერმანია ფაქტიურად შეუდგამის განხორციელებას, ბევრი გემი დაპლუბა და დაპლუბავს კიდევ. ამ გარემოებამ შეაფრთხო არა მართო პატარა ნეიტრალური სახელმწიფონი, არამედ ისეთი ძლიერნიც კი, როგორც არის შეერთებული შტატები და იტალია. რას ნიშნავს ეს? რატომ მიჰმართა გერმანიამ ამ უკიდურეს საშუალებას? მით უმეტეს, რომ საშუალება იგი ორპირ მახვილსავითა სჭრის და როგორც საზარალოა მის მეტოქეებისთვის, არა ნაკლებ საზარალოა პირადად მისთვისაც, ჯერ ერთი რომ ამით სრულიად მოწყვეტილი ხდება იგი და ზედმეტად ახალ მტრებს გადიკიდებს.

მაგრამ, მოგვხსენებათ, უკიდურესი მდგომარეობა ყოველისთვის გაკადრებინებს. გერმანია ერთგვარ რისკს დაეყრდნო. თუ რატომ მიჰმართა ამ გზას, ამას მკითხველი დაინახავს ამ ნომერშივე დაბეჭდილ „გერმანიის მემორანდუმი“-დან, სადაც ნათლად აღნიშნულია, რომ გერმანელ ხალხს შიმშილით სიკვდილი ელის და ვიდრე ეს მას ეწვეოდეს, ვეცდები თქვენი მშვიდობიანი მცხოვრებნი ჩემს ხალხზე ადრე მაგვაროვე საშუალებით დავასამაროვო. მართლაც, ვინ დაარღვია პირველად ომის უფლებები? ინგლისმა თუ გერმანიამ? მაგრამ პასუხი თვით ფაქტებითვე განვიხილოთ.

ჯერ კიდევ ქრისტიანობისთვის დამღვეში შეერთებულ შტატების ბეჯით მოთხოვნილების შემდეგ იძულებით დასთანხმდა ინგლისი, რომ ის სურსათი, რომელიც ხალხის საკვებად იქმნება დანიშნული და არა ომისთვისა, გაშვებული იქმნება გერმანიაშიო. ამერიკელებმა ამის შემდეგ ხორბლით დასტვირთეს ხომალდი „ვილჰელმანა“ გერმანიაში გასაგზავნად. ეს იყო ერთგვარი ცდა, რომ ინგლისელების პასუხი ფაქტიურად გაემტკიცებინათ. ვინიციობაა, თუ ხომალდი მშვიდობიანად მიადგენდა გერმანიის ნავთსადგურებს, მაშინ წესიერ მიმოსვლას აღადგენდნენ და „პირობით კონტრაბანდის“ სახით გერმანიას მიაშველებდნენ ხორბალს. მაგრამ, სიტყვა სხვაა და საქმე სხვაა, ნათქვამია და ამ „საქმიანობის“ სინამდვილემაც სწრაფად იჩინა თავი. „ვილჰელმანა“ ინგლისის ელჩმა გზაშივე შეაჩერა, სურსათს ინგლი-

სი წაიღებს, ეხლა ფულს გადიხდის, მაგრამ თუ შემდეგ თქვენს მაგალითს მიჰბაძავენ სხვები, მაშინ კონფისკაციას მოვახდენთო. ამგვარმა ფრონტის შეცვლამ საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო გერმანია. მით უმეტეს, რომ პური, თუ ექვეყნებთ ეურნალ-გაზეთებს, სულ ერთიანად შეიწყობა მოაფრობამ ჯარისთვის. მაშასადამე, ხალხს შიმშილი ელის. განზრახვა, რომ წესიერი ვაჭრობა არ შესწყდებოდა ამერიკასა და გერმანიის შუა, როგორც დავინახეთ, კატასტროფით გათავდა. გერმანიის საყვედურზე ინგლისმა მკვახედ უპასუხა, რომ შენც არღვევ საერთაშორისო უფლებასაო. ამგვარმა პასუხმა გააანჩხლა გერმანია და წყალქვეშა ნავებით აღსაშემორტყმულად გამოაცხადა მთელი ინგლისი. მართალია, ინგლისმა, დეკემბრის შეთანხმების თანახმად, ამერიკელთ არ დაუშალა ბამბის შეტანა, მაგრამ გერმანელთ პური უფრო ეჭირვებოდათ, ვიდრე ბამბა. ინგლისის ხალხი კი დამდგარა და განგაშსა სცემს პრესის საშუალებით თუ საჯარო კრებებით, რომ ესეც დაუშალონ ამერიკელებს და ყოველგვარი კავშირი შეაწყვეტინონ გერმანიასთან. ვაშინგტონის მთავრობამ თავის მხრით სათანადო პროტესტი განუცხადა ინგლისს. რუსული პრესა მხარს უჭერს ამ უკანასკნელს. თვით ისეთი ობიექტიურ მიმართულებების გაზეთი, როგორც „რუსკ. ვედემოტი“, ა ფედოტოვის სახით გადმომდგარა და ამერიკელთ ასეთი შენიშვნით უპასუხებს: „ვაშინგტონის მთავრობის პროტესტზე შეგვიძლიან მიუთითოთ, რამდენ თვითონ ისიც (ვაშინგტონის მთავრობა) ზანგთა განთავისუფლების დროს შეერთებულ შტატებში არასფერს არ უშვებდაო“. მაგრამ ასეთი მითითება და ისტორიულ ფაქტის სადღეისო არგუმენტად წამოყენება ყოველთვის როდი შეიძლება. ეს უფრო შაბლონი ფრაზებია და არა პასუხი. მაშასადამე სასჯელად არ ედებათ შვილებს. მით უმეტეს ინგლისის ჯენტლმენობა და თავაზიანობა ომამდე ყველას სჯეროდა და თუ მართლა ა. ფედოტოვის არგუმენტის თანახმად იქცევა და მხოლოდ ამიტომ მოისურვა ომის უფლების დარღვევა, მაშინ უნდა დავიჯეროთ, რომ ამ ომმა, მართლაც, რადიკალურად შესცვალა ყოველგვარი ღირებულება და მთელი ევროპის თვალთმაქცი პოლიტიკა სრულს ანარქიულ სიკოტრისკენ გააქანა. ინგლისი და გერმანია ამ საშინელ უფსკრულის პირს წაადგნენ და ილღაპმა უწყის, რომელი გადიჩებება

პირველად. ან შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ერთიც დაიღუპოს და მეორეც დაჰღუპოს ერთად...

დიოგენი.



გერმანიის მემორანდუმი

„რუს. ვედ.“ გამოქვეყნებულია გერმანიის მემორანდუმი, მოგვყავს სიტყვით სიტყვამდე:

„ომის დაწყებიდანვე გერმანიას ინგლისმა გამოუცხადა ომი ეკონომიურს ნიადაგზე, რაც საერთაშორისო უფლებების პრინციპებს არღვევს. ინგლისის მთავრობამ ლონდონის დეკლარაციაში თვითვე აღნიშნა მთელი რიგი წესებისა საზღვაო ომის შესახებ, მაგრამ თვითონვე დაარღვია და უარყო დეკლარაციის არსებითი დადგენილებანი, რაც ყველა ერებისაგან საერთაშორისო უფლებად იყო აღიარებული. ინგლისელებმა კონტრაბანდის სიაში შეიტანეს ბევრი ისეთი რამ, რაც ომის მოთხოვნისთვის არ იყო საჭირო, როგორც ამას მოითხოვდა ლონდონის დეკლარაცია. შემდეგ, ინგლისმა ფაქტიურად მოსპოა აბსოლუტური და პირობითი კონტრაბანდა. არც იმ გარემოებისთვის მიუტყვევია ყურადღება, თუ რისთვის იყო დანიშნული ეს კონტრაბანდა, მშვიდობიან ხალხისთვის, თუ ომის გასაძლიერებლად, ან საღ მიჭონდათ გადასატვირთად, რომელ ნავთსადგურზე იგი ოდნავად არ შეყოყმანებულა თვით პარიზის დეკლარაციის დარღვევის დროს. მისი საზღვაო ძალები იჭერდნენ ნეიტრალურ ნომადლებზე დატვირთულ არა კონტრაბანდს, არამედ გერმანელთა საკუთრებას. თავის მიერ დადგენილებანი თვითონვე დაარღვია კიდევ იმით, რომ ნეიტრალურ გემებზე დაატყვევა გერმანიის ქვეშევრდომნი და სამხედრო ტყვეებად გამოაცხადა. დაბოლოს, მთელი ჩრდილოეთის ზღვა საომარ ასპარეზად გამოაცხადა. თუ ხელი ვერ შეუშალა ნეიტრალურ გემთა შემოსვლას შოტლანდიისა და ნორვეგიის შორის, სამაგაეროდ იმდენად სახიფათო გაჩნდა მათი მოგზაურობა, რომ ნეიტრალური ნავთსადგურები და ნაპირები ილუაშემორტყმულად

უნდა ჩაითვალოს, რაც, ერთხელ კიდევ, ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებას.

ყველა ამ ზომებს ფრიად ნათელი მიზანი ჰქონდათ: უკანონოდ დასცეს კანონიერება და ამით დაასუსტოს და გაანადგუროს არა მარტო გერმანიის სამხედრო ძლიერება, არამედ მისი ეკონომიური ცხოვრებაც და საბოლოოდ გერმანიის მშვიდობიანი მცხოვრებნი შიმშილით მოსრას. ნეიტრალური სახელმწიფონი საზოგადოდ ინგლისის ამგვარ ზომებს შეურიგდნენ. მათ ვერ შოახერხეს კერძოდ გერმანელთა ქვეშევრდომთა განთავისუფლება, ანუ საკუთრების დაბრუნება. ზოგიერთ შემთხვევაში თვითვე ეხმარებოდნენ ინგლისელებს. სპობდნენ თავისუფალ ვაჭრობას, ან და ინგლისის ძალდატანებით სძირავდნენ ან ატყვევებდნენ გერმანიის მშვიდობიან მცხოვრიბთათვის დანიშნულს სურსათს. გერმანიის მთავრობა ამოდ მოუწოდებდა ნეიტრალურ სახელმწიფოებს, რომ საჭირო იყო ხელშეკრულობათა ახალი გადასინჯვა, რომ ინგლისის თავნება მოქმედება აელაგმათ, მაგრამ ამოდ. ინგლისი თავს იმით მართლულობს, რომ მისი ყოფნა-არ ყოფნის საკითხი ამითი სწყდებოდა და ნეიტრალური სახელმწიფონიც ამგვარ თეორეტიულ პასუხით კნაყოფილდებიან.

დღეს გერმანიამაც უნდა ასეთ „ყოფნაზე“ იზრუნოს. სამწუხაროდ, იგი იძულებული ხდება ინგლისის მოქმედებას სამხედრო საშუალებით შეებრძოლოს და როგორც ინგლისმა შოტლანდიისა და ნორვეგიის შუა სივრცე სამხედრო მოქმედების ასპარეზად გამოაცხადა, ისე გერმანია სამხედრო მოქმედების ასპარეზად იცხადებს მთელს წყლის სივრცეს, რაც კი დიდს ბრიტანიას და ირლანდიას არტყია...“



წერილი გორიდან

ჩვეულებრივის სიღინჯით და ბებრის მყუდროებით მიდის გორელთა ცხოვრება. თითქოს ქერქს ვიცვლით, განახლებას ვეძლევით, ვევროპიელდებით, მაგრამ შინაარსი ჩვენი ისევ ძველია, დარდი-

მანდული, ჟუკედ, გორული! მართლაც, ვისაც ჰსურს რომელიმე ქალაქის უმოკმედობა და მძინარე სახე დაახასიათოს, ტერმინად „გორული“ უნდა იხმაროს, „გორულს“ ძილს შეუბუყვრიათო! თუ ეს ასე არა, განა გორში, როგორც შუა ქართლის საგულე კარში, განა ასეთი მდგომარეობა იქმნებოდა? უსიკოცხლო ცხოვრების ტალღებში გახვეულს თავისებურ პროინციულობის ელფერი დაედო, ეს ქალაქი კი არა, უფრო დიდი სოფელია, სოფელი ყოველად უინტერესო, გარეშეს მოწყვეტილი და თავის დიად ღირსების შეუგნებელი.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ გორი სულ დაღუპული ქალაქი იყოს. არა, ძილი და უწყინარობა განა სრული დაღუპვაა? ასე რომ იყოს, მაშინ ხომ მთელი საქართველოც გაჭქრებოდა. არა, გორს თავის დადებითი მხარეებიცა აქვს და მრავალთა შორის ჯერ იდგილ-მდებარეობა გახლავთ, რომლის უპრეტენზიო მომავალში ვხედავთ გაჩაღებულ ვაჭრობა-მრეწველობას, რომელიც ტონს მისცემს მთელს მხარეს, გამოფხიზლდება და გააფხიზლებს ჩვენს ქართლის მცხოვრებთ. ბუნებრივი სიმდიდრე ხომ ხელით აუწერელია. აიღეთ, მაგალითად, გორიჯვარი, რომელიც დარაჯად გადმოჰყურებს ჩვენს ქალაქს! აქ დიად ბუნების ჯადოსნური ძალა გამოუჩენია. გორი ხელის გულივით მოსჩანს, სილუეტად ქალაქი კავკასიონის გრეხილი... ჰაერი საუცხოვო! თვალს ჰზიბლავს სანახაობა .. მტკვარი და მჩქეფრი ღიახვი ერთ-ერთს გადაჰხვევიან, როგორც გიჟმატი ვატიშვილი დარბაისელ დედას. აი, საკურორტო ადგილი! აი, ჩვენი ნიცა რა იქმნება! უნებურად წამოიძახებთ! დაუმატეთ ისიც, რომ ამ მხატვრულ კონცხზე საკმელის სურნელოვნებას ამკობს მინერალური წყაროებიც, რომელნიც თავიანთ პრიმიტიულ მდგომარეობის გამო ხავსმოდებულ გუბე-ტბად გარდაქმნილან, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკმარისია კუტი თუ დაქარიანებული ამოიგუნგლოს მის ტალახში, რომ იგრძნოს შვევა და განკურნება! და რომ გორის მომავალი ამ მხრით უზრუნველყოფილია, რომ გორს მალე ბევრი ჩვენი ქალაქთაგანი შურის თვალით დაუწყებს ცქერას, ეს იქიდანაც სჩანს, რომ გორს პატრონები მოველინენ, ცოტაა მათი რიცხვი, მაგრამ მათი დაუღალავი შრომა, ღვაწლი იერიქონის საყვირივით გაისმის. აი, სხვათა შორის ეჭიმი კობერიძე! რამდენი სიმხნვევე გამოიჩინა, როგორ დასტრიალებს ქალაქს! მართო ერთი თავის სპეციალობით გარდაჭმნის გორის მიტბორებულ ცხოვრებას. ხსნის საავადმყოფოს,

ყოველ საქმეში ერევა. ამასთანავე აგერ ამ ბოლო ეამს თვალი მიაბყრო ზემოდ ხსენებულ გორიჯვარის ფერდობს და მკურნავ წყაროებს. ის არის გორის მომავალი! თითქოს სთქვა და მხნელ შეუდგა, რომ იქ, ოდესღაც გამართული ქობინების მსგავსად და გაუნათებელი ოთახები შესცვალოს რიგთანად, წყალი სანიმუშოდ ბოთლებით ლაბორატორიებში დაგზავნა ავკარგიანობის შესამოწმებლად და მალე გეოლოგებსაც მოიწვევს, რომ წყაროები გაათავთოვებინოს და მოაწყოს ისე, როგორც ამას მოითხოვს საჭიროება. არა, მართალია, გორის ცხოვრება მიდის ტბორი, შედგებულ სახით, მაგრამ მერცხლები გამოჩნდნენ... გორიც იშმუშნება... ერკვევა. გამოფხიზლდნენ და მისი აყვავებული მომავალიც უზრუნველყოფილია!

გორული.

დარდანელის საკითხი

როგორც მკითხველებმა უწყიან, მთავრობის თვალსაზრისით ინგლისის შეთავაზებით იერიში მაიტანს დარდანელზე. გვარწმუნებენ, რომ რამდენიმე ფორტი კიდევ აღებუდაც. ამის შესახებ ჯერ აშუარაცხეთი არ დაშთავრებულა, რომ დარდანელის ხელში ჩაკდების სურვილმა უკუდას შადა გაუღვიბა. რუსეთის დიპლომატიამ საზონავის შეთავაზებით და დიპლომატიამ მკესამ ის ხზრი გამოსაქვა, რომ „თავისუფალი ზღვა სტამბოლითურთ ეს არსებითი საკითხია რუსეთის ინტერესებისთვის“. რუმინთა და ბულგართა თავის მხრით წამოწყვეს თავი და დაბეჯათებით ითხოვენ წინანდებურად ზღვის ნეიტრალიტას. მაგრამ ბულგართი სფეროში ვინ მიაქცევს მათ ვურადებას? მაგრამ საქმე ის არის, რომ ბულგართ ხმა გვრცელდა, ამგვარ შეერთების წინანდებუკია თვით ინგლისით! და ეს უფრო მას შემდეგ ცხადი შეიქმნა, რაც ღორდ გრემ სწორი მასუხი არ მისცა საზონავის შეკითხვას. საქმე ეხლა საფრანგეთსა და იტალიას ეხება, შესაძლებლად სცნობენ ეს სახელმწიფოანი დაუთმონ რუსეთს დარდანელი თუ არა! ამის შესახებ ბევრს რამეს ამბობენ რუსეთის მაღალ წრეებში თუ შრესში, თავისებურს და ხშირად სასურველ მასუხს იძლევიან. არავინ იცის, რით გათავდება უკუდა ეს, ღორდ აქ თავს იხენს ჩვენი დარბაისლურთ ხიდაზა, რომედაც სამართლიანად ამბობს: შადა ჭამის დროს შოდასა.

სხვა და სხვა ამბები

— **ახალი წიგნი.** რედექციამ მიიღო ახალი წიგნი: „წინაპართა აჩრდილი“, ორი ისტორიული ამბავი ნიკო ლომაურისა, გამოცემა ი. კერესელიძისა. წიგნი სუფთადაა დაბეჭდილი და ღირს ორი შაური.

— **საზღვაო ალყის შედეგი.** რაც გერანიამ ბრიტანიას საზღვაო ალყა შემოარტყა ათი დღის განმავლობაში დაჰლუბა ინგლისის ათი გემი, საფრანგეთისა ორი, შვედეთისა შტატებისა ორი, ნორვეგიისა სამი, და შვეციისა ერთი.

— **გერმანელები შვეციისგან თოფებს ყიდულობენ.** გერმანელები ამ ბოლო დროს შვეციელებისაგან ახალ სისტემის თოფებს ყიდულობენ. ამბობენ, ეს იმის შიშია, რომ რუსეთმა არ შეიძინოს ამ სისტემის თოფი.

— **კრეისერი კარლსრუე.** ამას წინად ლონდონიდან მოვიდა ცნობა, რომ გერმანელთა კრეისერმა კარლსრუემ ატლანტის ოკეანეში დაჰლუბა ინგლისის რამდენიმე გემი. საზოგადოდ ამავე ოკეანეში ეს კრეისერი განაგრძობს პარტიზანულ ომს და ინგლისის ფლოტის მოსასპობლად დათარეშობს. მაშასადამე, წინად გავრცელებული ხმა, ვითომც ამ მარჯვე კრეისერმა გაარღვია ინგლისის ფლოტის ალყა და ნემეტა ზღვაში დაბრუნება მოახერხაო, ტყუილი გამოდგა. სჩანს, აქ კარლსრუეს კაპიტანი იმავე გამჭრიახობას იჩენს, როგორც თავის დროზე სახელოვანი პარტიზანი კრეისერ ემდენის კაპიტანი მიულერი და განგებ შვეცდომაში შეუყვანია თავისი მეტოქენი.

ამ სუმბუქი კრეისერის ისტორია ასეთია: ომის დაწყებამდე იგი ჩაუშვეს ატლანტის ოკეანეში. პირველად ინგლისის გემს „ბრისტოლს“ შეხვდა ბრაზილიის ნაპირებთან, მოუხდა შეტაკება, თუმცა არც ერთს მათგანს არა რგებია გამარჯვება. კარლსრუე სწრაფ-მავალი კრეისერია და რა ვასაკვირველია, თუ ჩამოშორდა და დროზე მიემალა „ბრისტოლს“. შემდეგ ესპანიის ნაპირებთან გაჩნდა, საზღვაო ტელეგრაფის მავთულები გასკრა, რომელიც ინგლისს ბილბაოსთან აერთებდა. ამის შემდეგ შეეჯახა ინგლისელების გემებს კუნძულ კუბას მახლობლად და მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ უვნებლად გაიქცა. ერთი თვის დამლევს ინგლისის გემები თევს დაესხნენ, მაგრამ მაინც გადაარჩა. ბოლოს

მის შესახებ არა ერთხელ ისმოდა ხმა, ირწმუნებოდნენ მის დაღუპვას, ნამდვილად კი თვითონ იგი ჰლუბადა სხვა და სხვა გემებს, ხშირად სამ-სამ კრეისერს ერთად. უმეტეს შემთხვევაში დაჰლუბა ინგლისელების გემები, რიტყვიან-საშინავე ათეული. კარლსრუე ახალი ტიპის კრეისერია. მისი აგება დაშთავრდა 1912 წ. მისი წყალთა რწყვა უდრის 4,900 ტონას, ხოლო სისწრაფე—27,3 კვანძს, შეიარაღებული 12 ოთხ დიუმინიან და 40 კალიბრან სიგრძის ზარბაზნებით, ორი ტყვიის მფრქვეველით. ეკიპაჟი შესდგება 40 კაცისაგან და ოდნავ განსხვავდება „ემდენის“ კონსტრუქციისგან.

ჩვენი ცხოვრება

(იხ. „კლდე“ № 4 და 5.)

III

ჩემი ეჭვი არც ისეთი უსაფუძვლავა და აი რად: ჯადგან დუბის ვაჭრობა აკრძალეს უხლას ამ სსურათ სისხლის ღურის დროს. თავს იმითი გამაძრავებენ ჩვენი ბრწყინვალე ვაჭრები, რომ ვაჭრობა აღარ იყო, ხარჯი კი თავისას არ იმდიდა, იზარდა და გულ-უხვი ააყად აზსაუნაბა როგორც ყოველთვის, ახლაც მოვალეს ამატიონს, ახუქოს შივაღებუდი ფუელი?

დმურთმა ქნას, ჩვენი ეჭვი და შიში ტყუილი გამოდგეს და კახელ შეუჩახუთა „კახეთ“-ის საზოგადოების საქმე საფუძვლავს ხადაგზე დაძღვარიყოს; მაგრამ ჩვენ ეჭვებსაც შემდეგი საფუძვლები აქვს: შირველი ის, რომ „კახეთი“-ს საუაჭრას სათავეში უდგას ყოველთვის ვაჭრობა-მრეწველობაში ცამაუნდელი ხაღხი ერთის მხრით და კომპერტიულ კახანთა უცადინარი მკარეს მხრით, ეს კი ამისა ქგავს, რომ ხელში აღმასივით მჭრელი ხმალი ბეჭირათ უტარს და ვურკვი მთიქნიათ მტრის მსასაგერებლად!.. ადვილი შესადღებელია, ძდიურ კვაშირდილი, მახერხებულა, ხელამიჭინა, მრავლის დირსებით სავსე აღამი იუქეს, მაგრამ იმავე დროს კომერსანტობასა არა ესმოდეს რა. ხათქვამია და მარათაღივ გახდაო, რომ ადგილას გურდელეს ადგილის მწვეკარი უხდაო!

ვინ არ იცის, რომ ხამდვილი კახური კლდინო გემათაი, ფურით, სურხულთვანობათ, თვისებით და დინსებით ბეჭად გახიჩხევა სხვა მხრისა და ქვეყნის დუბინი-ჩავს და გზას ამტანივ არას. მაშასადამე, უფუელგან და იქველთკას „კახეთ“ ას რახ კვლავიან ღვანა ურთავარი

უნდა იყოს, ერთხელე მკვადრად შემუშავებული მცოდნე სპეციალისტებისაგან წმინდა, შეურეველი კახური დინსუბის ღვინო. მაგრამ სავადალოდ ოცი წლის არსებობაში ვერა და ვერ მოახერხა მის დაუენება. დღეს რამ მიიერთ-მევეთ „კახეთ“-ის ღვინოს ჩინებულა, ხვალ კი ჭახუელის წვენი სჯობიან. გარდა ამისა, თბილისში მიიერთივეთ ერთთა; ბაქოში მუარე, ასხაბადში — მესამე, ტაშკენტში — მეოთხე ასე და ამგვარად. საზოგადოების ღვინო ყოველ-თვის ერთს დონეზე არა სდგას, რაშიაღ ბრალი უმთავ-რესად იმას, აქვს, რამ ადმინისტრაციული წესები ისე არ არის შემუშავებული, რამ სხვა და სხვა ქალაქებში საწყობის გამგენი გადაჭრით ექვემდებარებოდნენ გამგეო-ბისაგან გაცემულ განკარგულებათ. ხშირად ისიც ხდება. ხოლმე, რომ № 1. სჯობიან მუარეს, მესამეს და მეორე კიდევ მეოთხეს, მეექვსეს ერთად ერთი დარგი სავაჭრო აქვს ჩვენს ბრწეინვალე ვაჭრებს და ისიც არა აქვს აწო-ნილ-დაწონილი, გამაზარებელი, შემუშავებული. წეს-დებებში უწერიათ, რამ მომხმარებლებს უნდა მიაწოდონ ხამდვილი, უმწიკვლო კახური ღვინო საყის წვერებისა, მაგრამ საქმის მოწეობილადის გამო, ხანდახან ამ გზასაც სდებობან. აქვე უნდა მოგახსენოთ ისიც, რამ მაგ. ბა-ქოში. როდესაც იკზაფნებოდა რიგიანი ღვინო და შედ-მივ ვაჭრობამ აიწია თითქმის 1000 გ. თვეში და რამ გავრძელებულიყო ასე. ადვილად შესაძლებელი იქნებოდა ვაჭრობის გაფართოება, 1500—2000. მაგრამ რაკი ვერა გზაფნეს მუდამ ერთხანი ღვინო, ამასთან თრ კვირაო-ბით და თვეობით უღვინოდ იყო ხოლმე განყოფილება, ვაჭრობამ დაიწია 600—700 ვადრამდე. გარდა ამისა სდ გავიხილა, რამ ვაჭარი თავის თავს ექიშე-ბოდეც, შეტოქეობას უწევდეს? წარმოიდგინეთ, ერთ ხანს ბაქოს რკინის გზის მდებარე ჰყიდდა „კახეთი“-ს ღვინოს № 1—20—22 კ. და თვით განყოფილებას კი 25 კაზ. ხაკლებ არ შეეძლო გაუიღვას ეს და სხვა მრავალი მიზე-ზია რამ მაგ., ბაქოში ვაჭრობა მთავრებიანი დღემდისაც არ არის.

საზოგადო განყოფილებანი საზოგადოებას უნდა ჰქონდეს უკულა დიდ თვალსაჩინო ქალაქებში, კანტონები ქართულ-ევროპიულად, სუფთად და ლაზათიანად მორთუ-ლი მოწეობილი ტეხნიკის უკანასკნელ სიტუვის თანახმად, მაგრამ მიბძნდით გადაავლეთ თვალნი და დაინახეთ, რამ ზოგაერთ მათს სარდაფებს უბრალო დუქანი სჯობიან და არც თუ კანტონები აქვთ თვალსაჩინოდ!.. მეოთხე უბე-დურება „ის“ გახლავთ, რამ ამ ოცის წლის განმავლობაში ის ვერ მოახერხეს ერთხელ და სამუდამოდ შეიმუშაონ საანგარბო (საბუხვალტრო) დავთრები და ისე აწარმო-ვონ საქმე. წელიწადში ორჯულ თუ არა, — ერთხელ მა-ინც უკუვალად იტვლებოდა საანგარბო წიგნები, მერე

იცით რა უჯდებათ ეს წიგნები?! აბა მიბძნდით და გა-დავლეთ მათ ხეჯარიშებს თვალნი და ხახათ, თუ მარტო ამ წიგნებში რა აუარებელი ფული იხარჯება! მაგრამ ქართული ანდაზა — გისი ტვე, ვისი ხარება, ვისი რა საბურგელათ, სწორედ აქ იაქმის!.. რამდენი ბუხვალტერიც მივიდა „კახეთის“ საზოგადოებაში, იმდენი წესი შემოიღო და გამგეობაც ამ საგანში არის მცოდნე, ემორჩილება უკულა ბუხვალტერს.

განყოფილებათა გამგენი უნდა შეგნებულ-განვითა-რებულნი იყვნენ, მცოდნენი, როგორც ღვინის ავ-კარკია-ნობისა, ისე ვაჭრობისა, ამასთან საქმის მოუვარუნნი და არა არისტოკრატ-მოხელენი ჭამაგირების მოტრფიალენი. გამგე გარდა ზემოდ ჩამოთვლილის დირსებისა უნდა იყოს შუამავალი მოგზაურ-გამავრცელებელი თავის სა-ქონლისა! გამგე, რომელსაც ეთავილება და არა კადრუ-ლადს მისულას დაბალ სასადალოებში, სასტუმროებში, სარდაფებში, რესტორან-დუქნებში, მადებებში, სარდაფ-ტრახტირებში საქმეს ვერ გააკეთებს და ვერც ვერას გა-ავრცელებს, რადგან ღვინო იხარჯება მამეტებულად ზე-მად ჩამოთვლილი ადგილებში და არა შირველ ხარისხო-ვან სასადალო-სასტუმროებში! ბარველში დაიარება მუშა მშრომელი, ხელისანი, დარდი-მანდი, მამქეიფე ხალხი, რომელიც ღვინის მთავარი მამხმარებელი არის.

აუარებელს ჭამაგირებს იღებენ გამგენი თვიურად და კიდევ მოითხოვენ მოგვეცით ნუბა ფული დავხარჯოთ ღვინის გასავრცელებლად შუამავალ-გოთაქობსუთ. და ჩვენს ბრწეინვალე „კახეთი“-ს გამგენი გულუხვობენ და აძლევენ ნუბას. გარდა ამისა, კანტონის მოსამსახურე-ნი კერედ წოდებული „კონტროლი“-ც უსათუოდ უნდა იყოს არა ნაკლებ გამგისა, რადგან ეს უკანასკნელი მუ-დამ კანტონშია და მუშტართან ამის უფრო აქვს საქმე, ვიდრე გამგეს. გამგე უნდა მუშაობდეს გარედ და ამისი ხელაქვეითი კანტონში. ხამდვილად კი „კახეთი“-ს სა-ზოგადოებას არავითარი გარვეული წესი არა აქვს შე-მუშავებული განყოფილებათავის.

რ. ფავლენიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

